



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №9

ქ. ბათუმი

2018 წლის 28 ივნისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველების“ თავმჯდომარე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი- ა. ვანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მ. მეტრეველი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილების უფროსი- ე. ქავჭარაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

6. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

7. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

8. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის №74 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

9. „ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

10. „ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ეთერ ლომაძე)

11. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მ/შ მირიან მეტრეველი)

12. „ქ. ბათუმში ლუკა ასათიანის ქ. N92-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პარმენ პატარაიას მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

13. „ქ. ბათუმში ვ. გორგასალის ქ. N34-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე შოთა ოქროპირიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

14. „ქ. ბათუმში ჰაიდარ აბაშიძისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ძმები აბაშიძეების მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 23 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 18 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა:-3 (ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვები: ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გადაეცეს სოციალურად დაუცველებს, თუმცა ეს ხდება წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე ბათუმში, ნურის ტბის პერიმეტრზე არის მომწამლავი სუნი, თევზები დახოცილია, მიმართა ქალაქის მერს და სპეციალურ სამსახურებს ტბის ეკოლოგიური საკითხის მოწესრიგების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ნურის ტბის ლაბორატორიული ანალიზი იქნა აღებული და ელოდებიან პასუხს. ანალიზის საფუძველზე დადგინდება მიზეზი დაბინძურების ხარისხის შესახებ.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ უპასუხა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით, რომ წინა წლებში ხდებოდა 200 ლარიანი დახმარებები, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია მიზანმიმართულად იყოს გაწეული დახმარებები. კომისიის წევ-

რები ფინანსური კუთხით არის თვითონ, ხოლო ჯანმრთელობის კუთხით დ. ჭეიშვილი.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ მიკროავტობუსის მძღოლები ამ წუთებში ბათუმის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არიან შეკრებილი და მერიის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომელიც ქალაქში სამარშრუტო ხაზების შემცირებას შეეხება. მძღოლები ხაზების გაუქმებით უმუშევარი რჩებიან და უმრავლესობას შეთანხმებული პოზიციის დაფიქსირება ურჩია.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ შეთანხმებულობის მთავარი საფუძველი იდეოლოგიური ერთობაა, ხოლო საკითხის ინტერპრეტაცია ინდივიდუალურია და „ქართული ოცნება“ არ არის ის პარტია, რომელიც ზემოდან ვერტიკალით მიღებულ ბრძანებას აჟღერებს და იდენტურად ერთნაირად უნდა ამბობდეს თავის მოსაზრებას. ეღირსა ჩვენს ქვეყანას თავისუფლად აზროვნების საშუალება. დღეს აქციას მართავს მხოლოდ ერთი გადამზიდი კომპანიის მძღოლები, დანარჩენ სამ გადამზიდ კომპანიასთან ვერ შედგა ნაციონალური მოძრაობის მიერ მოლაპარაკება. გამომდინარე აქედან ნაციონალურ მოძრაობას სურს დემაგოგია, ყიყინი და კამათი.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ მძღოლები პროტესტს გამოთქვამენ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც უკვე მიღებული და დამტკიცებულია მიმდინარე წლის 29 მაისს საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ შეახსენა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომ დღეს არის მრავალპარტიულობა და ვისმენტ სწორ, ჭეშმარიტ აზრს. ყოველთვის ხალხისთვის კარგ გადაწყვეტილებას აპროტესტებდით და ამ ხელისუფლების პიარს კარგად იყენებთ.

სხდომის თავმჯდომარეს აქვს ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში ერთ-ერთი ოპოზიციური პარტია ფიქრობს ხელისშეშლას სხდომის მუშაობაში და ამიტომ იზადება ეჭვი, დღეს ხომ არ აქვთ დაგეგმილი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე, გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა. ასევე, საკუთარი შემოსავლების, ელექტრონული ტენდერების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. მათ შორის:

განხორციელდება შპს "ბათუმის წყალის" კაპიტალის ზრდა, ქალაქის რეაბილიტირებულ უბნებში ეზოების ქსელის კანალიზაციის სისტემის ახალ ქსელზე დაერთების სამუშაოების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით;

ახალის სასწავლო წლისათვის მომზადების მიზნით, განხორციელდება საბავშვო ბაღების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და აღსაზრდელებისათვის სათამაშოების შექმნა;

მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დაიწყება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სერვის-ცენტრების ახალი ოფისების მშენებლობა - საწყის ეტაპზე ორი ახალი სერვის-ცენტრის შენობის მშენებლობა;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1,420.6 ათასი ლარით. მათ შორის:

- სპეციალური ტრანსფერი - 520.6 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის" პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით;

- სხვა შემოსავლები - 900.0 ათასი ლარით, რომლის მობილიზება მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან დივიდენდის სახით არის დაგეგმილი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 1,471.9 ათასი ლარით. პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ პირდაპირი ეთერით სხდომის გაშუქება არ მიმდინარეობს, რის საფუძველზეც ირღვევა საკრებულოს რეგლამენტი, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ დაავალა საკრებულოს აპარატს ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ დასვა შეკითხვა ქალაქში ხმაურთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ 6 საშტატო ერთეულზე გამოყოფილია 49 200 ლარი, ხოლო სეზონურად 10 ადამიანის მუშაობისათვის 40 000 ლარი. ხმის საზომი აპარატები გადმოეცა ბათუმის მერიას შს. სამინისტროდან, სამსახურს ეყოლება თავისი მანქანები, რომელიც 24 საათის განმავლობაში იმოდრავებენ მთელი ქალაქის მასშტაბით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 3 (ი. პატარიძე, მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 2 (ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე,)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში განხორციელებული რეორგანიზაციის გათვალისწინებით 2018 წლის 01 მაისიდან შპს „სანდასუფთავება“ ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ადმინისტრირებას. მიმდინარე ეტაპისათვის შპს „სანდასუფთავების“ მიერ აქტიურად ხორციელდება ახალი აბონენტების რეგისტრაცია და არსებული აბონენტების მონაცემების განახლება. განხორციელდება კორექტირება იმ დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების (შემდგომში - აბონენტი) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის (შემდგომში - მოსაკრებელი) დარიცხვის თარიღში, რომელთაც 2018 წლის 01 მაისის შემდგომ მოსაკრებელი დაერიცხათ მომსახურების მიღების მთელ პერიოდზე და ერთჯერადად დარიცხვის პერიოდი აღემატება ერთ თვეს.

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა სანდასუფთავების გადასახადის გადახდის მექანიზმის დახვეწის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ სანდასუფთავების შემთხვევაში არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულების მექანიზმი. დამოკიდებულია გადამხდელთა კეთილ ნებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 2018 წლის 06 ივნისის №707/02 (№17902/25) წერილით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის NMES 8 18 00440444 წერილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ქუთაისის ქ. N27-ში მდებარე 127,08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.36.007.03.500) ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, სადაც სწავლებას გადიან ამ სკოლის პირველი საფეხურის მოსწავლეები და ამ გარემოებების გათვალისწინებით, შემდგომში სკოლისათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მოთხოვნილია მითითებული არასაცხოვრებელი ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთ აღნიშნული ქონება საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, შემდგომში ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქუთაისის ქ. N27-ში მდებარე 127,08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.36.007.03.500) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლისათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს პარლამენტის წევრის მუხრან ვახტანგაძის 2017 წლის 01 სექტემბრის N25642/25 წერილით გადმოგზავნილი 2017 წლის 15 აგვისტოს N25 წერილით ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაცია ითხოვს ანგისის სპორტული კომპლექსის ბაზაზე არსებული სასროლეთის ტერიტორიის სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, მშვილდოსნების წვრთნისა და ტურნირებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობის მიზნით, ანგისის სპორტული კომპლექსიდან სასროლეთის ტერიტორია - 5067,0 კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 422,64 კვ.მ. შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცეს ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 5067,0 კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და 422,64 კვ.მ. შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის სარგებლობაში გადაცემა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ი. პატარიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესია აღნიშნული ტერიტორია დათმობილიყო მხოლოდ საფეხბურთო ფედერაციისთვის, ხოლო მშვილდოსნობისთვის სხვა ადგილის შერჩევა მომხდარიყო.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ფედერაცია წარმატებულია და

სამომავლოდ კარგი ბაზის შექმნა აუცილებელია.

სხდომის თავმჯდომარე უჭერს წარმოდგენილ ინიციატივას და აღნიშნა, რომ მათი განვითარების საკითხი მომავალში დადგება დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების

საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულია:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 4 საპრივატიზებო ობიექტი;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 4 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (უძრავი ქონება);

ამასთან, 32-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე პუნქტებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების პრივატიზება იგეგმება შემდეგი შეზღუდვით: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 02 მაისის N67-04 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საჭაერო-საბაგირო გზის (დაფარვის ზონა: ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის დასახლება; საკადასტრო კოდი: 05.00.734) დემონტაჟზე. აუდიტორული კომპანია „ინტელექტ აუდიტის“ 2018 წლის 12 თებერვლის N92 დასკვნის თანახმად, საბაგირო გზის დემონტაჟის შედეგად მიიღება დაახლოებით 16,0 ტონა მეორადი მასალა - შავი ლითონის ჯართი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 6400,0 ლარს (1 ტონა - 400,0 ლარი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დემონტაჟის შედეგად მიღებული ლითონის ჯართის რეალიზება მოხდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით და შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მტკიცდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო მოძრავი ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხის განხილვისას ითქვა, რომ ექნებოდა კომერციული დატვირთვა და დახარჯული თანხა ამოღებული იქნებოდა, მაგრამ დაიხარჯა 48 ათასი ლარი და ამოღება ხდება 6400 ლარის, თუმცა აუტიზმის პროგრამა გაჩერებულია, ამ ფულით, 23 ბავშვს შეიძლება მიეღო წლის ბოლომდე სამედიცინო მომსახურება. ასევე მან წამოაყენა წინადადება, რომ წარმოდგენილ საპრივატიზებო ნუსხაში მოცემულია მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მიწის ნაკვეთები, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები, შესაბამისად აუქციონის გამოცხადებისას ინფორმა-

ცია აუცილებელია, რადგან დაინტერესებულმა მხარემ, პოტენციურმა მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სხვა პირის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობა. გამომდინარე აქედან, ნუსხაში გათვალისწინებულია მხოლოდ მიწის ნაკვეთები, ხოლო დახასიათება მიწის მდგომარეობის შესახებ განთავსდება აუქციონის გამოცხადებისას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე,
ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

6. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₂ და M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭავაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წესი განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₂ და M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) ჩატარების, კონკურსში მონაწი-

ლეობისა და მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის და სანებართვო პირობების შესრულების პირობებს, აგრეთვე ნებართვის მოქმედების ვადას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია ნებართვის მიღება წინამდებარე წესის შესაბამისად.

ნებართვა გაიცემა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილებით დამტკიცებულ მარშრუტებზე.

კონკურსი ცხადდება M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებისათვის ნებართვის გასაცემად. სამარშრუტო ხაზზე გაიცემა ერთი ნებართვა.

აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკურსის წესით მოწესრიგდეს და გაუმჯობესდეს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანები M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ მძღოლების მუშაობას მხოლოდ გადამზიდავი კომპანიები ვერ გადაწყვეტენ, რის გამოც მძღოლებმა დღეს აქცია გამართეს მერიის შენობასთან. მძღოლებს კრედიტით აქვთ შეძენილი მიკროავტობუსები. გამომდინარე აქედან ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება“ გაშიკრიბა გადამზიდავ კომპანიებთან შესათანხმებლად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გადამზიდავი 4 კომპანიაა, რომლის ხელმძღვანელებთან მოხდა შეხვედრები პირობების გასაცნობად, ასევე ბათუმის მერმა გააკეთა პრეზენტაცია. დღეს მხოლოდ ერთმა გადამზიდავმა კომპანიამ მოაწყო აქცია.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ წამოაყენა წინადადება ქალაქში ტრანსპორტის საკითხის მოწესრიგების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ მერიაში შემოვიდა განცხადება, სადაც ზუსტად თანდართული ჰქონდა დღის წესრიგი, რომელიც საკრებულოს ბიუროს მიერ არ იყო დამტკიცებული, გამომდინარე აქედან ვიღაც ძალა მუშაობს არასწორი ინფორმაციის გასაშუქებლად. მოუწოდა ყველას

სრულყოფილი ინფორმაციის გაცემისკენ.

მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება, რომ კომისიის შენიშვნების გათვალისწინება მოხდა წარმოდგენილ სამართლებრივ აქტში. კერძოდ: M3 კატეგორიის ავტობუსის ტექნიკური მახასიათებლების საერთო ზომები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: მე-9 მუხლში - სიგრძე - 8220 მმ ან/და მეტი; სიგანე - 2320 მმ ან/და მეტი და სიმაღლე - 2700 მმ ან/და მეტი. გ) პუნქტში ჩაიწეროს: მძღოლის სამუშაო ადგილის კონდიცირების სისტემა, მგზავრთა სალონის კონდიცირების სისტემა. ასევე მე-5 მუხლში შეტანილი იქნას ცვლილება, რომ კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის კომისიას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილებების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე,
ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილებების გათვალისწინებით.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

7. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავქარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტით განისაზღვრა ფიქსირებული ნებართვის გაცემის ფასი M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის 50 ლარით, ხოლო M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის 20 ლარით.

ნებართვის ფასის გადახდის ვადებია:

1.M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის - ნებართვის ფასის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, გადახდის თვის არაუგვიანეს 10 რიცხვამდე, სამარშრუტო ხაზზე დადგენილი საერთო რაოდენობის M2 კატეგორიის ავტობუსების რაოდენობაზე გადამრავლებით;

2.M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის - ნებართვის ფასის გადახდა ხორციელდება ყოველკვარტალურად, მომდევნო კვარტლის პირველი თვის არაუგვიანეს 15 რიცხვამდე, სამარშრუტო ხაზზე დადგენილი საერთო რაოდენობის M3 კატეგორიის ავტობუსების რაოდენობაზე გადამრავლებით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა საწვავის ფასის გამვირებასთან დაკავშირებით, რაზედაც ო. მახარაძემ აღნიშნა, რომ 2012 წ. კონკურენციის სააგენტომ, რომლის თავმჯდომარე იყო გიორგი ბარაბაძე, 54 ტომიანი დასკვნა აქვს გაკეთებული, სადაც აღმოჩნდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროს ე.წ კარტერული შეთანხმებით 1 ლიტრ საწვავზე იყო 90 თეთრიანი მოგება და ერთი ლიტრი საწვავის საბაზრო ღირებულება აღმოჩნდა 1 ლარი და 21 თეთრი. ეს თანხები მიედინებოდა თქვენი ლიდერების ჯიბეებში.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ წამოაყენა წინადადება წარმოდგენილი საკითხის უახლოეს სხდომაზე გადადების თაობაზე, რაზედაც ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ წინააღმდეგია გადადებისა, რადგან საკითხი მომზადებულია და შეთანხმებულია. დაგეგმილია არა სატრანსპორტო საშუალებების და მძღოლების შემცირება, არამედ სამუშაო საათების რაოდენობის შემცირება და პირობების გაუმჯობესება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შესატანია ცვლილება, რომ დადგენილება ამოქმედდეს 1 აგვისტოდან და არა გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე,
რ. თავართქილაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი,
ცვლილების გათვალისწინებით.

მოისმინეს:

8. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის №74 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის №74 განკარგულება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:
კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

9. „ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო რე-ფორმის ფარგლებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონკურსის ჩატარებით ტექნიკურად გამართული მიკროავტობუსების შერჩევა. წარმოდგენილი პროექტით დაევალება ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გასაცემად კონკურსის ორგანიზება, საკონკურსო კომისიის შექმნა, კონკურსის ჩატარება, გამარჯვებულის გამოვლენა და კომისიის შედეგების წარდგენა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამარჯვებულზე ნებართვის გასაცემად. საკონკურსო კომისიაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან წარმოდგენილი იქნეს არანაკლებ სამი წევრისა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 4(მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)
არ მიიღო მონაწილეობა -2 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 13.00 სთ.

სხდომა განახლდა 14.00 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები:2 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. „ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანია მოქალაქის საჭიროებაზე ორიენტირებული განვითარების უზრუნველყოფა, ცხოვრებისა და ტურიზმის განვითარების პირობების გაუმჯობესება; ეკონომიკისა და ადგილობრივი გარემო პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა მომზადდა „პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №629 დადგენილებისა და „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №644 ბრძანების მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტრატეგიის სამუშაო ვერსია განსახილველად გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე; ჩატარდა სტრატეგიის წარდგენა და ორგანიზებული იყო დისკუსიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მოგროვილი დოკუმენტები და მონაცემები, გამოთქმული მოსაზრებები შეჯერებულ იქნა მოქმედ კანონმდებლობასა და აჭარის და საქართველოს სხვადასხვა სტრატეგიებთან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი 10 სტრატეგიული მიმართულება:

- მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი;
- ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია;
- ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია;
- მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება;
- ქალაქის ურბანული განვითარება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემა
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გაძლიერება.

სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად განსაზღვრულია სტრატეგიული ღონისძიებების, პროგრამებისა და აქტივობების ჩამონათვალი შესაბამისი აღწერის, დაინტერესებული მხარეების, ბენეფიციარების მითითებით. გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებების შესაბამისად გაწერილ 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმასა და ინდიკატორებს, რომლის მიხედვითაც უნდა გაიზომოს კონკრეტული პროგრამების შესრულება. გეგმაში ასევე მოცემულია ღონისძიებების შესაბამისად განსაზღვრული რისკ-ფაქტორები, მათი შეფასება და დაძლევის ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსება განხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ ასეთი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ქ. ბათუმის მერის მიერ. დოკუმენტში გაწერილია ორდონიანი თვითმმართველობის შექმნა ძირითად ღონისძიებებზე, გაწერილია კრიტერიუმები 2018-2021 წლებში, ანუ სტრატეგიული გეგმის მოქმე-

დების განმავლობაში. მაგ: ერთიანი ელექტრონული სერვისის და გეოსერვისის პორტალის შექმნას როდის აპირებთ, ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია შემუშავებულია თუ არა, ინდუსტრიული საწარმოების ეკონომიკური პროფილის გაძლიერება, დივერსიფიკაცია, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ინდიკატორებში წერია, რომ 2018 წ. ივლისის თვეში უნდა დასრულდეს, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მოდემი შემუშავებულია, ტერიტორია შერჩეულია, 5 ჰექტარი მთავრობის დადგენილებით, კახაბრის მიმდებარედ ბათუმის მუნიციპალიტეტს, ინდუსტრიული ცენტრის მოწყობისათვის, დაპროექტებაზე ტენდერი გამოცხადებულია და რაც შეეხება ბიზნეს ცენტრის მოდელს როგორ უნდა ინფუქციონეროს პირველადი სამუშაო ვერსია უკვე არსებობს. მომზადდება ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის პოზიციონირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონალურ ჭრილში, გამოკვეთს იმ დარგებსა და მიმართულებებს, რომლებიც ქმნიან ქალაქის კონკურენტულ უპირატესობებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ცენტრალური ხელისუფლების, ქალაქის მოსახლეობის და მერიის შესაბამისი სამსახურების მაღალი ჩართულობით მომზადდება ქალაქის ფუნქციონალური დატვირთვის გრძელვადიანი ხედვა, მიზნები და შესაბამისი განსახორციელებელი აქტივობები. კვლევა ასევე განსაზღვრავს არსებულ ქალაქწარმომქმნელ ორგანიზაციებს, შეისწავლის მათი განვითარების გამოწვევებსა და პერსპექტივებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქწარმომქმნელ დარგებში უმოქმედო და არამდგრადი საწარმოებისათვის მეორე სიცოცხლის მიცემის პროექტს.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდება პარკირების პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს ინიციატივებს ქ. ბათუმში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებასთან, ველოსიპედითა და ფეხით

გადაადგილებებთან დაკავშირებით. ასევე განახორციელებს პარკირების თანამედროვე გადაწყვეტების გამოყენებას, როგორცაა პარკირების ავტომატური ლიფტინგის სისტემის განთავსება და ამოქმედება, რომელიც შედარებით მცირე ფართობზე (200 კვ. მეტრზე) 50-70 ავტომობილის დაპარკინგების საშუალებას იძლევა. პროგრამა ისარგებლებს UNDP პროექტის - „ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმსა და აჭარის რეგიონში“ მომზადებული „პარკირების ახალი სტრატეგია და პოლიტიკა ქ. ბათუმისათვის“ დოკუმენტის რეკომენდაციებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

11. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მ/შ მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მოქალაქეთა მოთხოვნის გათვალისწინებით ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, ქ. ბათუმში გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე საპლაჟე მონაკვეთები დააგეგმარა და დაპყრო სექტორებად. გონიო-კვარიათის ტერიტორია წარმოადგენს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, მიზანშეწონილია შევიდეს აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება და კონკრეტულად აღნიშნული ზონისათვის დასაშვები სახეობების ჩამონათვალს

დაემატოს ტერიტორიაზე დროებითი კონსტრუქციების - ბუნგალოების და სხვა კვების ობიექტების განთავსება, რაც ხელს შეუწყობს საკურორტო სეზონისათვის არსებული ტერიტორიის სწორ და ეფექტურ გამოყენება-განვითარებას. ასევე შესაძლებელი გახდება დაინტერესებულ პირებს დროებით სარგებლობაში გადაეცეთ ობიექტები, მისი გამოყენების და მოვლა-პატრონობის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დასადაგინეს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მთისმინეს :

12. „ქ. ბათუმში ლუკა ასათიანის ქ. N92-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პარმენ პატარაიას მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი პარმენ პატარაია ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1907-1990 წლებში. სხვადასხვა დროს ასწავლიდა პედაგოგიურ, საფინანსო-ეკონომიურ, კოოპერატიულ, ინდუსტრიულ და სამედიცინო ტექნიკუმებში. 1938 წლიდან იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ის იყო ისტორიის კათედრის დოცენტი და ისტორია-ფილოლოგიის კათედრის დეკანი. 15 წელი იმუშავა მონოგრაფიებზე. 30 წლის განმავლობაში იყო სამეცნიერო საბჭოს წევრი. აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუტის სასწავლო-აღმზრდელობით, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა: ოჯახი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დასადგინეს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

13. „ქ. ბათუმში ვ. გორგასალის ქ. N34-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე შოთა ოქროპირიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასული საუკუნის 60-90 წლებში აჭარაში მოღვაწეობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შოთა ოქროპირიძე. 1978 წლიდან 1995 წლამდე ხელმძღვანელობდა აჭარის პროფესიულ კავშირებს, არჩეული იყო აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარედ. 1978 წლიდან არჩეული იყო აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. შოთა ოქროპირიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა 1990-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. ბევრჯერ იყო არჩეული ბათუმის სამოქალაქო და აჭარის უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით. გარდაიცვალა 1999 წელს. პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა: ოჯახი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დასადგინეს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

14. „ქ. ბათუმში ჰაიდარ აბაშიძისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ძმები აბაშიძეების მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჰაიდარ აბაშიძე (1893-1961 წწ.) - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. ოსმალთა მიერ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს ხალხს განუმარტავდა ომის ნამდვილ მიზნებს. მისი ინიციატივით აჭარაში გაიხსნა ქართული სკოლები. 1918-1920 წლებში იყო "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" აქტიური წევრი. მოითხოვდა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას და გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას. 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში

იუსუფ აბაშიძე - აჭარის დამსახურებული ინჟინერი (1895-1966წწ), ბათუმის ქალაქის სამმართველოს მშენებლობისა და წარმოების ხელმძღვანელი, მარელისის გრებილი ავეჯის ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი და სხვა... მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება.

ყადირ აბაშიძე (1901-1957წწ) - სასჯელაღსრულების გამომძიებელი, ბათუმის პროკურორი, აჭარის ადვოკატთა კოლეგიის ადვიკატი.

ომერ აბაშიძე (1905-1965წწ) - ჩაქვის საცდელი მეურნეობის და ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-მუშაკი, მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და შ. რუსთაველის სახელობის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგი. მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

ოსმან აბაშიძე (1909-1983წწ) - მრეწბანკის მთავარი ინჟინერი, თავდაცვითი მნიშვნელობის ხიდების მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი და პროექტების კონსტრუქტორი, ბათუმის აღმასკომის სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი. მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

სალიხ აბაშიძე (1912-1989წწ) - ქობულეთის რ-ნის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ორდინატორი, აჭარის მაღალმთიანი სოფლების დანდალოსა და ცხმორისის ამბულატორიის გამგე, ხულოს რ-ნის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, ბათუმის ტუბ-საავადმყოფოს განყოფილების გამგე. მისი თაოსნობით დაარსდა ქ. ბათუმში ინფექციური საავადმყოფო. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა: ოჯახი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 23 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 23 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შემუშავება განპირობებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომლიც შესაბამისადაც დარეგულირებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პირობები და პროცედურები; ამავე დროს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დამატებითი პროცედურები შესაბამისი სამართლებრივი აქტით, თუმცა კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ: გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ფუნქციები ეტაპობრივად გაიზარდა და დღეის მდგომარეობით გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს რეესტრი, შესაბამისად, ქუჩის ნუმერაცია აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფუნქციას (უფლებას).

2012 წლის 23 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილებაც შესაბამისად ითვალისწინებს, დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის (ქუჩების ნუმერაციის წესი) ამოღებას და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 18 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ №12 განკარგულებაში შედის ცვლილება და შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 17-ით, ნაცვლად 16-სა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სისტემაში 1 საშტატო ერთეულის გაუქმებას, კერძოდ უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი

სპეციალისტის შტატი სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი